ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი № ბ19-21, 19.10.2021

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:

დადგენილება № 27, 28.10.2021

ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი № ბ10-24, 19.09.2024

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:

დადგენილება №18, 20.09.2024

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
ტურიზმი

განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი (უმაღლესი აკადემიური განათლების I საფეხური)
სწავლების ენა:	ქართული
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:	აკადემიური
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ტურიზმის ბაკალავრი Bachelor of Tourism
სწავლის ხანგრძლივობა:	4 წელი (8 სემესტრი)
საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა:	240 ECTS
პროგრამის ხელმძღვანელი:	პროფესორი, დოქტ. მაია აზმაიფარაშვილი მობ.: (+995) 577 771135 ელ.ფოსტა: azmaiparashvili.maia@eu.edu.ge

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ევროპის უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს შემდეგი საგნები:

ა) ქართულ ენა და ლიტერატურა, (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი)

ბ) უცხოური ენებიდან ერთ-ერთი შემდეგი საგანი: ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი)

გ) ერთ-ერთი შემდეგი საგანი: ისტორია/მათემატიკა/გეოგრაფია (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი). თითოეული საგნისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 10%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოპოვებენ:

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის აქტუალობა

მოგზაურობისა და ტურიზმის სფერო, როგორც დარგთაშორისი რთული კომპლექსი ოპერირებს ურთიერთდაკავშირებული და მონათესავე ინდუსტრიების უზარმაზარი ქსელის, ასევე, სხვა დამხმარე ინდუსტრიების მეშვეობით. ტურიზმის სექტორის ღირებულებების შემქმნელი ჯაჭვი ითხოვს განსხვავებულ მიდგომებს, რაც აისახება კადრების მომზადების პროცესში. ტურიზმის დარგის სწრაფი განვითარება და ცვლილებები ბუნებრივად იწვევს მოთხოვნის ადეკვატურ ზრდას სპეციალისტებზე. საერთაშორისო ასპარეზზე ეროვნული ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ტურიზმის მსოფლიო ბაზარზე შესაფერისი ადგილის დამკვიდრება, ახალი გამოწვევების დაძლევა, ტურიზმის გეგმაზომიერი განვითარება და ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში წვლილის შეტანა, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია კვალიფიციური კადრების მომზადებაზე. ეროვნული ტურიზმის ინდუსტრიისთვის კონკურენტუნარიანი კადრების

მომზადება ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელოვან ამოცანას უნდა წარმოადგენდეს.
კრიზისი ტურიზმის სექტორისთვის საშუალებაა განიცადოს ტრანსფორმაცია და გახდეს გამძლე, გარდაქმნის, აღდგენის დაჩქარების საწინდარი. პანდემიის უპრეცედენტო ზეგავლენა მოითხოვს ახალ მიდგომებს, ინოვაციებს, ინიციატივებსა და შესაბამის რეაგირებას. ამჟამინდელი სექტორი ეყრდნობა ხარისხიან განათლებას და კვალიფიციურ რესურსებს, ახალ სამუშაო ძალას, აღჭურვილს აუცილებელი თეორიული ცოდნით და გლობალურ ტურიზმში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ანალიზის უნარით. შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებით, უმთავრეს გამოწვევას მცოდნე და მრავალფეროვანი უნარების მქონე კადრების ნაკლებობა წარმოადგენს. შემუშავებული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ტურიზმის ინდუსტრიას უზრუნველყოფს თანამედროვე ცოდნაზე დაფუძნებული კვალიფიციური და მოტივირებული კადრებით, რაც შესაბამისად საწინდარია ამავე ინდუსტრიის გრძელვადიანი განვითარების.

პროგრამის მიზნები

ტურიზმის მიმართულების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში გამჭოლადაა ასახული ევროპის უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები, აგრეთვე ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ძირითადი მიზნები და ამოცანები. მასში, ასევე, გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები, ადგილობრივი თუ უცხოური უნივერსიტეტების მიერ განხორციელებული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამების წარმატებული გამოცდილება. აღნიშნულის საფუძველზე, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლების შეთავაზებით მოამზადოს და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციებით აღჭურვოს ტურიზმის ბაკალავრის ხარისხის მქონე, კონკურენტუნარიანი, სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი სპეციალისტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ტურიზმის საბაკალავრო **პროგრამის მიზანია:**

1. **მისცეს ცოდნა** ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული ფუნქციონალური სფეროების შესახებ, რომელიც მოიცავს ტურიზმის კომპლექსური საკითხების, თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას; შესძინოს ცოდნა ტურიზმის ეკონომიკური მნიშვნელობის, ტურისტული ინდუსტრიის დარგობრივი სტრუქტურის, ტურიზმის პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საკითხებზე;
2. **განუვითაროს** პრაქტიკული უნარები ტურისტული რესურსებისა და პოტენციალის შეფასებისა და ანალიზის, ტურისტული პროდუქტის ფორმირების, განვითარებისა და რეალიზაციის შესახებ;
3. **გამოუმუშავოს უნარები,** რომლებიც დაეხმარება ტურიზმის სფეროში წამოჭრილი აქტუალური პრობლემების დამოუკიდებლად იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის სტრატეგიების დაგეგმვაში, სოციალური-ეკონომიკური ასპექტების და ეთიკური ნორმების გათვალისწინებით.

საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლის შედეგები

პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული სასწავლო კურსების წარმატებით დასრულება ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდეს/განუმტკიცდეს დარგობრივი კომპეტენციები (აგრეთვე ზოგადი

უნარები, რომლებიც გამჭოლად არის ასახული ცალკეული კურსების სილაბუსებში). კერძოდ, ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

პროგრამის სწავლის შედეგები	**სწავლის შედეგების აღწერილობა**
1	**აღწერს** ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული ფუნქციონალური სფეროების არსებით ფაქტორებს, თეორიებს, კონცეფციებს, პრინციპებსა და ტურისტული საქმიანობის პროცესებს; ასევე, ტურიზმის სფეროს ეკონომიკურ მახასიათებლებს, ეკონომიკურ ზეგავლენას, ფინანსურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ, სოციალურ-კულტურულ, ეკოლოგიურ საკითხებს.
2	**განიხილავს** ტურიზმის ინდუსტრიის ძირითადი და დამხმარე სექტორების დარგობრივი საქმიანობის პროცესებს, ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების დაგეგმვის, განხორციელებისა და მართვის საკითხებს; ტურისტული საწარმოს ბიზნეს საქმიანობის შედეგებს, კონკურენციის მამოძრავებელ ძალებს; ტურიზმთან დაკავშირებული ორგანიზაციული პროცესების მართვის ზოგად პრინციპებს.
3	**აიდენტიფიცირებს** ტურისტული რესურსებისა და პოტენციალის ხარისხობრივ მახასიათებლებს; **განასხვავებს** საქართველოსა და სხვა ქვეყნების საკურორტო–რეკრეაციული მეურნეობის რესურსებსა და პოტენციალს; **განიხილავს** ტურისტული პროდუქტის სრულყოფის პერსპექტივებს.
4	**აანალიზებს** ტურისტული მიმართულების პოზიციონირების სტრატეგიულ მიდგომებს მიზნობრივ ბაზრებთან მიმართებაში; ტურისტული დანიშნულების ადგილს **განიხილავს**, როგორც რეგიონული ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას; **ახდენს** ტურიზმის ინდუსტრიის სტრუქტურაში შემავალი ერთეულების/სუბიექტების კლასიფიკაციას.
5	**განსაზღვრავს** მარკეტინგული ინფორმაციის მოპოვების საშუალებებსა და მეთოდებს, მარკეტინგისა და გაყიდვების მართვის პრინციპებს; მარკეტინგული მონაცემების შეგროვების, მსოფლიო და ადგილობრივი ტურისტული ბაზრების ტენდენციების შეფასებისა და დაკავშირების საფუძველზე ახდენს მათ კლასიფიცირებას და ანალიზს; გონივრულად **იყენებს** აპრობირებულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს ტურისტული საქმიანობის, პროდუქტისა და მომსახურების შემუშავების, განხორციელებისა და რეალიზაციისთვის.
6	სტატისტიკური მეთოდებითა და ხერხებით **აანალიზებს** ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებს; ტურისტულ ბაზარზე არსებულ პრობლემებსა და თანამედროვე გამოწვევებს.
7	**განსაზღვრავს** ძირითად ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ტურიზმის უსაფრთხოებაზე, **გამოყოფს** საფრთხისა და რისკის სახეებს; **იყენებს** ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებებს.
8	**აყალიბებს** იდეებს, ტურიზმის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ და **ამზადებს** დეტალურ წერილობით ანგარიშს/პრეზენტაციას,

	ასევე, ახდენს კომუნიკაციას დარგობრივ საკითხებთან დაკავშირებით.
9	დამოუკიდებლად იკვლევს და **აიდენტიფიცირებს** ტურიზმის სფეროში არსებულ გამოწვევებს და სახავს მათთან გამკლავების გზებს ტურიზმის სფეროში აღიარებული პრინციპებისა და ეთიკური ნორმების დაცვით. შეიმუშავებს საკუთარი და სხვების პროფესიული განვითარების გეგმას, გუნდური მუშაობის პრინციპების გამოყენებით.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან (იხ.დანართი #1).

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მიიღწევა (იხ. დანართი #2).

პროგრამის მოცულობა

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების მისაღწევად.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს (8 სემესტრს) და მოიცავს 240 (ECTS) კრედიტს (6000 საათს ჯამში).

1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს; კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო აკადემიური წლის განმავლობაში - 60 კრედიტი, თუმცა, სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, კრედიტების რაოდენობა აკადემიური წლის განმავლობაში შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

უნივერსიტეტი უფლებამოსილია, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით.

ერთი აკადემიური სასწავლო წელი მოიცავს 42 კვირას, ერთი სემესტრი 21 კვირას, მათ შორის 15 კვირა არის სასწავლო, დანარჩენი 6 კვირა კი სასესიო. მე-8, მე-9 კვირა ეთმობა შუალედურ გამოცდას, მე-18 და მე-19 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდია, ხოლო მე-20 და 21-ე კვირა დამატებითი გამოცდების პერიოდი. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედია დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღე.

პროგრამის სტრუქტურა

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, აქედან:

- **ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები -** სავალდებულო სასწავლო კურსები - 166 კრედიტი, მათ შორის პრაქტიკა - 6 კრედიტი და საბაკალავრო პროექტი - 5 კრედიტი; ასევე, არჩევითი სასწავლო კურსები - 15 კრედიტი;
- **თავისუფალი კომპონენტი**, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი/ტრანსფერული უნარების განვითარებაზე- სავალდებულო სასწავლო კურსები - 49 კრედიტი, არაჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი.

შენიშვნა: *თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული სასწავლო კურსებიდან, დაშვების წინაპირობების დაცვით.*

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მისაღები კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები, კომპონენტების კრედიტების მოცულობა, წინაპირობები და სემესტრების მიხედვით კომპონენტების განაწილება განსაზღვრულია დანართით პროგრამის სასწავლო გეგმა (იხ. **დანართი #5**).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მეშვეობით განისაზღვრება სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამის კონკრეტულ შედეგებთან. ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასება დაფუძნებულია კრიტერიუმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ფლობს თუ არა სტუდენტი სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომელიც ტარდება მე-8-9 კვირაში. შუალედური შეფასება გულისხმობს სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს სტუდენტების მუშაობის პროცესის, შუალედური გამოცდის და სტუდენტის დამოუკიდებელი სამუშაოს ჯამურ შეფასებას, ხოლო დასკვნითი შეფასება - დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შუალედური და დასკვნითი შეფასებების მეთოდებს და მათ ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში. სილაბუსში ასევე განმარტებულია თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებიც.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 50 %, დასკვნითი გამოცდის შეფასების 50+1%.

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისთვის დადგენილი მინიმალური ზღვრების გადალახვის საფუძველზე სტუდენტის მიერ მიღებული ქულების ჯამი შეადგენს 51 ქულას ან მეტს.

სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ასევე უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდების მიზანია, ობიექტური და გამჭვირვალე, სასწავლო კურსის მიზნებზე და მის სპეციფიკაზე ორიენტირებული კრიტერიუმების გამოყენებით, დაადასტუროს თითოეული სტუდენტის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევა.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, შუალედური და დასკვნითი შეფასებებისას გამოყენებულია შეფასების შემდეგი მეთოდები:

- **სამუშაო ჯგუფში აქტიურობა/ზეპირი გამოკითხვა** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს ლექტორის მხრიდან ცალკეული სტუდენტებისთვის კითხვების დასმას ლექციის დროს ახსნილი და მათ მიერ დამოუკიდებლად დამუშავებული მასალის შესახებ მათი ცოდნის გამომჟღავნებისა და შეფასების მიზნით. ზეპირი გამოკითხვის შეფასებისას სტანდარტულად ექცევა ყურადღება სტუდენტის სისხარტეს, პასუხების ადეკვატურობა/რელევანტურობას, ფაქტების სიზუსტეს, გასაგებ ენაზე გადმოცემის უნარს, დამაჯერებლობას და სხვა.
- **ქვიზი** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს ლექტორის მიერ სტუდენტების წერილობით გამოკითხვას მოკლე ტესტის ფორმატში და შედგება დახურული ან/და ღია კითხვებისგან. ქვიზის მიზანია, შეამოწმოს სტუდენტების მიმდინარე ცოდნა და მისი შეფასების სტანდარტული კრიტერიუმია პასუხების სისწორე. ლექტორი სილაბუსით განსაზღვრავს ქვიზის შესრულებისთვის გამოყოფილ დროსა და თითოეული კითხვის წონას.
- **პრეზენტაცია** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის შეფასებას მის მიერ სასწავლო მასალის, რეფერატის ან ნაშრომის ჯგუფის წინაშე ვიზუალური საშუალებების თანხლებით წარდგენის ფონზე. პრეზენტაცია ამოწმებს სტუდენტის გადმოცემის მანერას, ტექნოლოგიებთან მუშაობის უნარს, პრეზენტაბელურობას, მოწოდებული ინფორმაციის ადეკვატურობას და სხვა.
- **დისკუსია/დებატები** - შეფასების მეთოდი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები იხილავენ კონკრეტულ პრობლემას/თემას/საკითხს და ფასდებიან არგუმენტებითა და კონტრარგუმენტებით ოპერირების, დასკვნის გაკეთების, თვითრეფლექსიის, ანალიტიკური უნარების და სხვა რელევანტური კრიტერიუმების მიხედვით.
- **შემთხვევის ანალიზი/პრობლემური სიტუაციის ანალიზი** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტების მიერ კონკრეტული დარგისთვის დამახასიათებელი ან პირიქით, გამონაკლისი შემთხვევის/პრობლემის ანალიზს დროის დათქმულ მონაკვეთში. ქეისის საშუალებით ლექტორი ამოწმებს სტუდენტის კრიტიკული აზროვნების, პრობლემის იდენტიფიცირების, დასკვნის გაკეთების და კომპლექსური საკითხის გაცნობიერების უნარებს, ასევე პროფესიულ-ეთიკულ ღირებულებებს და ამ ღირებულებებით ოპერირების უნარს.
- **ტესტი** (ღია, დახურული ან კომბინირებული) - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტების მხრიდან ლექტორის ავტორობით შედგენილი წერილობითი კითხვების/დავალებების შესრულებას დროის განსაზვრულ, მცირე მონაკვეთში მათ მიერ განვლილი მასალის ცოდნის, თუ მათი კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნებისა და არგუმენტირების უნარის შემოწმების მიზნით. ტესტები, როგორც წესი, მოიცავს როგორც ღია, ისე დახურულ კითხვებს, და შესაძლოა, ტერმინის განმარტებასაც. კომბინირებული ტესტის შემთხვევაში, დამატებით გვხვდება ასევე თემა, ქეისი ან კაზუსიც. ღია ტესტი საჭიროებს ერთმნიშვნელოვან მოკლე პასუხს, რაც გამორიცხავს გამოცნობას, დახურულ კითხვებზე პასუხის გაცემისას სტუდენტებს არჩევანის გაკეთება უწევთ ალტერნატიულ ვერსიებს შორის, ხოლო თემა/ქეისი/კაზუსი ითხოვს შედარებით უფრო ღრმა და ვრცელ მსჯელობას.
- **პრაქტიკული დავალება/სავარჯიშო/ამოცანა** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის მიერ ტექნიკური ან/და ქცევითი უნარების გამოვლენის ხარისხის შემოწმებას. შეფასება

შეიძლება დამოკიდებული იყოს საბოლოო რეზულტატზე, მტკიცებულებაზე (პროდუქტი) ან აქტივობის შესრულების პროცესზე. დასაშვებია ორივე ვარიანტის კომბინაცია.

- **რეფერატი** - შეფასების მეთოდი, რომელიც მოითხოვს სტუდენტის მხრიდან წიგნების, სტატიების, სხვა სამეცნიერო ნაშრომების მიმოხილვას, კრიტიკულ ანალიზს, კომენტირებას და საკუთარი პოზიციის კონსტატაციას წერილობითი ფორმით. რეფერატის შეფასებისას ლექტორი ძირითადად ამოწმებს სტუდენტის უნარს, წეროს აკადემიურად, გაიაზროს სხვადასხვა ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრები, შეუპირისპიროს ისინი ერთმანეთს, მოახდინოს მათი ერთიან ტექსტად ფორმირება, იკვლიოს დამოუკიდებლად და გააკეთოს დასკვნები. ლექტორმა შეიძლება, მოითხოვოს რეფერატის წარდგენა აუდიტორიის წინაშე თვალსაჩინოებების გამოყენებით, რა შემთხვევაშიც პრეზენტაცია ექვემდებარება დამატებით შეფასებას.
- **წერითი დავალება** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტისთვის თავისუფალი წერითი დავალების მიცემას, რომელიც არ არის სტანდარტიზებული, თუმცა განსაზღვრულია თემატიკა და/ან სათაური, რომელზე დაყრდნობითაც სტუდენტს ევალება მცირე მოცულობის ნაშრომის დაწერა, აკადემიური წერის სტანდარტების გათვალისწინებით.
- **რეცენზირება** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის მიერ სხვა სტუდენტის ნაშრომის კრიტიკულად გაანალიზებასა და შეფასებას წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
- **ლიტერატურის მიმოხილვა** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის მიერ შესაბამის ლიტერატურაზე/სამეცნიერო წყაროებზე დაყრდნობით შემუშავებულ წერილობით ნაშრომს (200-300 სიტყვა). სტუდენტი ვალდებულია დაიცვას ციტირებისა და რეფერირების სტილი და მოთხოვნები.
- **პროექტი** - შეფასების მეთოდი, რომელიც ამოწმებს სტუდენტ(ებ)ის მხრიდან კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოების შედეგებს. პროექტი მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის (პრეზენტაციის) ეტაპებს და იგი შეიძლება, განხორციელდეს როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. როგორც წესი, პროექტის საკითხებს სტუდენტ(ებ)ი რამდენიმე კვირის განმავლობაში ამუშავებენ და შემდეგ წარუდგენენ ჯგუფს, თუმცა არსებობს მინი და შესაბამისად, ხანმოკლე დროში განხორციელებადი პროექტებიც. როგორც შეფასების მეთოდი, პროექტი ავლენს სტუნდეტის კვლევით, შემოქმედებით, და კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებს, ხოლო ჯგუფური მუშაობის შემთხვევაში - თანამშრომლობის უნარსაც.

დასაქმების სფერო

ტურიზმის სფერო დასაქმების მრავალ და მიმზიდველ შესაძლებლობებს გვთავაზობს. ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ტურიზმის სექტორის სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დაწესებულებებში, მცირე და საშუალო ზომის სტრუქტურული ქვედანაყოფების ადმინისტრაციულ პოზიციაზე, ტურისტულ კომპანიებში, სასტუმროს ინდუსტრიაში, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციაში, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში, დაცული ტერიტორიების სააგენტოში, დაცული ტერიტორიებსა და ეროვნული პარკებში, რეგიონული ადგილობრივი თვითმმართველობით ერთეულებში, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში, ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესის საკონსულტაციო კომპანიებში, ტურიზმის ინდუსტრიაში არსებულ ასოციაციებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათებლო პროგრამის კურსდამთავრებულს - ტურიზმის ბაკალავრი - სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე–მაგისტრატურაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

პროფესორი, მაია აზმაიფარაშვილი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ..:

სოფო ხუნდაძე